



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თამარი, დავით VII ულუს ასული

თამარი, XIII ს. მოღვაწე, დავით VII ულუს ასული. ცოლად შეირთო მონღოლი დიდმოხელის, „გურჯისტანის ვილაიეთის“ გამგებლის არღუნ აღას ვაჟმა. თ-ს სძულდა ნარმართი მეუღლე. როდესაც არღუნი გარდაიცვალა, ქმარმა იგი დროებით თბილისში ჩამოიყვანა. თ. გაიპარა და მთიულეთში დაიმალა. აბალა ხანისა და თ-ის ძმის – დემეტრე II-ის თანხმობით, თ. ცოლად შეირთო სამეფოს ფაქტობრივმა გამგებელმა, მედროვე სადუნ მანკაბერდელმა.

ნუარო: უამთააღმწერელი, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; უამთააღმწერელი, ასწლოვანი მატიანე, რ. კიკნაძის გამოც., თბ., 1987; ქართლის ცხოვრება, მთ. რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2008.

ლიტ.: ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ი ვ ., ქართველი ერის ისტორია, ტ. 3, თბ., 1982 (თხზ. თორმეტ ტომად).

გ. საითიძე